# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 328

„ 18 " ოქტომბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის“ (ს/ნ:405213709) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის“ (ს/ნ:405213709) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 ოქტომბრის №19.1053.1321 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის“ (ს/ნ:405213709) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 450 (ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე